ხელშეკრულება №06-03/91
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON130000001)

ქ. თბილისი

25 დეკემბერი, 2013 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, შემდგომში –„შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის **გია მამულაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია“ შემდგომში – „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის **ზაზა ქათამაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 დეკემბრის N2025 განკარგულების, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანებისა და ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის 2013 წლის 24 დეკემბრის თანხმობის საფუძველზე, ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის – სამოქალაქო განათლების სწავლებისას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (EDC/HRe) – ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ **360 ლიტრი** პრემიუმის მიწოდება არასაბარათე სისტემის – ტალონების მეშვეობით ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2. საწვავის შეძენა განხორციელდება ტალონებით შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად. საწვავის მიღება ტალონებით განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართით (ავტოგასამართი სადგურების სია დანართი №2) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **669,60** (ექვსას სამოცდაცხრა ლარი და 60 თეთრი) ლარს.

3.2. შესაძენი საწვავის რაოდენობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარდა ტრანსპორტირების ხარჯებისა სითხის მიწოდების შემთხვევაში) მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. საქონლის ფასის დაანგარიშების პირობები

4.1. ტენდერში მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (მიმწოდებლის ნავთობბაზამდე და ავტოგასამართ სადგურებამდე ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C – ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ *[შესაბამისი მარკის საწვავზე]* (ლარში); R – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2012 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D – გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი *[შესაბამისი მარკის საწვავის]* სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ^3); 18% – დღგ; P – PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2012 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

4.2. მიმწოდებლის 1 ლიტრი საწვავის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებულ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3. C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას საწვავის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. ამასთან, საბარათე სისტემით (პლასტიკური ბარათით) საწვავის შეძენისას, C უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი საწვავის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,1 ლარი) ნაკლები, ხოლო არასაბარათე სისტემის (სითხე და ტალონები) მეშვეობით შესყიდვისას გასატანი 1 ლიტრი საწვავის ფასი უნდა იყოს შესაბამისი მარკის საწვავის გატანის მოთხოვნის დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის არსებულ ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,1 ლარი) ნაკლები.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში – სატენდერო კომისია).

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი *[შესაბამისი მარკის საწვავის]* 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებელის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.6. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *[შესაბამისი მარკის საწვავის]* ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2013@spa.gov.ge.

4.7. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია დღგ-სგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საქონლის ფასი დაანგარიშდება წინამდებრე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ფორმულის შედეგად დაფიქსირებულ ფასს (C) გამოკლებული დღგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. ***<u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>***

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ტალონების (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით) მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც დაუყოვნებლივ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონების გადაცემაზე შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის,

დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას);

ბ) შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ტალონის წარდგენისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (ტალონებით საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება).

გ) უზრუნველყოფს 2013 წლის 01 მარტამდე პლასტიკური ბარათის სისტემის დანერგვა (პლასტიკური ბარათების მოხმარების წესები განისაზღვრება დამატებითი დანართით). პლასტიკური ბარათების გაცემის პრიორიტეტულობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება სატენდერო კომისიის მიერ, პლასტიკური ბარათების დანერგვის შემდეგ, საწვავის ტალონის სახით მიწოდება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შემსყიდველის მიერ სატენდერო კომისიის თანხმობის წარდგენის შემთხვევაში.

დ) შემსყიდველის მიერ საწვავის სითხის სახით შეძენის მოთხოვნის შემთხვევაში, მიუთითოს შემსყიდველს შესაბამისი ნავთობპროდუქტების ბაზა.

ე) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2. ***<u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>***

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) ტალონების და პლასტიკური ბარათების საშუალებით საწვავის გაცემა უზრუნველყოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

5.3. ***<u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>***

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა, მაგრამ მიწოდებული საწვავის ხარისხზე და შესაბამისობაზე ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებთან მიმართებაში პასუხიმგებლობა ეკისრება ხელშეკრულების მიმწოდებელ მხარეს.

გ) წინასწარ, 5 დღით ადრე, შეატყობინოს მიმწოდებელს სითხის სახით საწვავის შესყიდვის განზრახვის თაობაზე და საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს საწვავის ტრანსპორტირება მიმწოდებლის მიერ მითითებული ნავთობპროდუქტების ბაზიდან. მიმწოდებელმა უნდა შესთავაზოს ბაზიდან შემსყიდველის დანიშნულების ადგილამდე მიწოდების კონკურენტუნარიანი ფასი, ხოლო შემსყიდველს უფლება აქვს დამოუკიდებლად მოიძიოს სითხის ტრანსპორტირების ალტერნატიული შემოთავაზებები და გადაწყვეტილება მიიღოს ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების სასარგებლოდ.

დ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შერჩეული უფლებამოსილი ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველკვარტალურად, სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული 3 ავტოგასამართი სადგურიდან უზრუნველყოს საწვავის სინჯის აღება და სატენდერო კომისიასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პარამეტრების შემოწმება მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. სინჯის აღებას უნდა ესწრებოდეს სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირები, რომელთა თანდასწრებითაც სინჯი დაილუქება და გადაეცემა შესაბამის ლაბორატორიას.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება შემდეგნაირად:

7.2.1. „საბარათე სისტემის" (პლასტიკური ბარათებით) შემთხვევაში – ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

7.2.2. „არასაბარათე სისტემის" (ტალონები და სითხის მიწოდება) შემთხვევაში – ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისადათანაზომიერებისპრინციპებით.

9.2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი*[შესაბამისი მარკის საწვავის]* ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით წინამდებარე ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დაჩენილი თვეების რაოდენობაზე.

9.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში,შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ***<u>წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:</u>***

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა

არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მახრეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

11.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222;
ა/ა: 200122900

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია“
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
საიდენტიფიკაციო კოდი: 204976302
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE52 BG00 0000 0117 3981 01

გია მამულაშვილი
დირექტორი

ზაზა ქათამაძე
დირექტორი

შენიშვნა: თუ გესაჭიროებათ ერთი ტიპის საწვავის შეძენა სითხის და ბარათების სახით, გთხოვთ საერთო რაოდენობა გაყოთ შესაბამისად და ლიტრაჟის გრაფაში მიუთითოთ რა რაოდენობაა მისაწოდებელი სითხით და რა ბარათებით.

დანართი №1

2013 წლის 25 დეკემბრის №06-03/91 ხელშეკრულებაზე

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო საორიენტაციო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	პრემიუმი	ოქტანობა არანაკლებ 95 (არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი)	360 ლიტრი	1,86 ლარი	669,60 ლარი	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251

გია მამულაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია"
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
საიდენტიფიკაციო კოდი: 204976302

ზაზა ქათამაძე
დირექტორი

დანართი N2

ავტოგასამართი სადგურების ჩამონათვალი

ქ. თბილისი

1. საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
2. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, „ვახუშტის ხიდის" მიმდებარე ტერიტორია
3. საბურთალო, გმირთა მოედანთან, „ლაგუნა ვერეს" წინ
4. დიდუბე, მტკვრის მარცხენა სანაპირო, რესტორან „იმერეთთან"
5. დიდუბე, წერეთლის გამზირი, „სამთოქიმიის" მოპირდაპირე მხარეს
6. დიდუბე, წერეთლის გამზირი, „სამთოქიმიის" მიმდებარე ტერიტორია
7. გლდანი, შეშელიძის ქ. N24, მეტრო „სარაჯიშვილის" მიმდებარე ტერიტორია
8. დიღომი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. (თბილისის შემოსასვლელში)
9. დიღომი, აღმაშენებლის მე-13 კმ (თბილისის გასასვლელში)
10. დიღომი, აღმაშენებლის ხეივნისა და მიქელაძის ქუჩის გადაკვეთა
11. მეტრო „ღრმაღელის" მიმდებარე ტერიტორია, ს/ს „ცისარტყელას" მოპირდაპ მხარეს
12. საბურთალო, გელოვანის გამზირი N6, მეღვინეობა-მევენახეობის ინსტიტ. მიმდებარე ტერიტორია
13. ვაკე, თამარაშვილის ქუჩა, ყაზბეგის გამზირის გადაკვეთასთან
14. კახეთის გზატკეცილი, ორხევის ხიდთან (თბილისის შემოსასვლელში)
15. კახეთის გზატკეცილი, მიწისქვეშა გადასასვლელის მიმდ. ტერიტ (თბილისის გასასვლელში)
16. ავლაბარი, წურწუმიასა და კროპოტკინის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია
17. ორთაჭალჰესთან, N72-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორია
18. ვარკეთილი, ჯავახეთის, კალოუბნის და შუამთის ქუჩებს შორის

რეგიონები

19. თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალი, თერჯოლის გადასახვევთან.
20. ქ. ხაშური, ბორჯომის გადასახვევთან.
21. თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალი, სოფ. ოკამი
22. ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი.
23. ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის N98 – მისასვლელი ჭავჭავაძის მხრიდან
24. ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. N18
25. ქ. ონი, ვახტანგ VI ქუჩა N8ა
26. ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის N21
27. ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. N1კ
28. ქ. ბათუმი, აღმაშენებლის N4 (მეგობრობის N2)
29. ქ. ბათუმი შავშეთის ქ. N25
30. ქ. გორი, გორი-ცხინვალის გზატკეცილი N2
31. ქ. ჭიათურა შიო მღვიმელის N4ბ
32. მცხეთის რაიონი, სოფ. მისაქციელი
33. დაბა ბაკურიანი, ბორჯომის ქუჩა
34. ნინოწმინდა, თავისუფლების ქუჩა N35
35. ქ. ზესტაფონი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N10
36. ქ. ქობულეთი, მ. აბაშიძის ქუჩა N14
37. წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი
38. გურჯაანი რ-ნი, სოფ. ჩუმლაყი
39. ქ. ხონი, ჭანტურიას N157.

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251

გია მამულაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს „ლუკოილ ჯორჯია"
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
საიდენტიფიკაციო კოდი: 204976302

ზაზა ქათამაძე
დირექტორი

Vasil Gagnidze

From: Eka Ezugbaia [eezugbaia@mes.gov.ge]
Sent: Wednesday, 25 December, 2013 09:55 AM
To: ვასიკო გაგნიძე
Subject: FW: საწვავის ტალონების სისტემით შესყიდვის შესახებ
Attachments: კომისიას დაზუსტებული.pdf

From: oil2013 [mailto:oil2013@spa.gov.ge]
Sent: Tuesday, December 24, 2013 8:16 PM
To: eezugbaia@mes.gov.ge
Cc: dmarghania@spa.ge; nkandelaki@spa.ge; tshaduri@spa.ge
Subject: FW: საწვავის ტალონების სისტემით შესყიდვის შესახებ

კომისია ეთანხმება თქვენს მიერ წერილში დასმულ მოთხოვნას

From: Eka Ezugbaia [mailto:eezugbaia@mes.gov.ge]
Sent: Tuesday, December 24, 2013 1:14 PM
To: 'oil2013'
Cc: dmarghania@spa.ge; nkandelaki@spa.ge
Subject: RE: საწვავის ტალონების სისტემით შესყიდვის შესახებ

მოგესალმებით,

გიგზავნით დაზუსტებულ ინფორმაციას საწვავის ტალონებით შესყიდვის შესახებ. გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ეკა ეზუგბაია

შესყიდვების სამმართველოს უფროსი
ეკონომიკური დეპარტამენტი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ტელ: 2318940 (1252)
ელ-ფოსტა: eezugbaia@mes.gov.ge
www.mes.gov.ge

From: oil2013 [mailto:oil2013@spa.gov.ge]
Sent: Monday, December 23, 2013 7:39 PM
To: eezugbaia@mes.gov.ge
Cc: dmarghania@spa.ge; nkandelaki@spa.ge
Subject: FW: საწვავის ტალონების სისტემით შესყიდვის შესახებ

ცენტრის ავტომობილებზე იარსებებს პლასტიკური ბარათები, რომლებზეც შეიძლება საწვავის გადანაწილება გამოყენების საჭიროებისამებრ.

From: Eka Ezugbaia [mailto:eezugbaia@mes.gov.ge]
Sent: Friday, December 20, 2013 5:00 PM
To: 'oil2013'
Cc: dmarghania@spa.ge
Subject: საწვავის ტალონების სისტემით შესყიდვის შესახებ

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის
კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას

მოგესალმებით,

გიგზავნით ოფიციალურ წერილს საწვავის ტალონური სისტემით შესყიდვის ნებართვის შესახებ.
გთხოვთ, იხილოთ თანდართული ფაილი.
პატივისცემით,

ეკა ეზუგბაია

შესყიდვების სამმართველოს უფროსი
ეკონომიკური დეპარტამენტი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ტელ: 2318940 (1252)
ელ-ფოსტა: eezugbaia@mes.gov.ge
www.mes.gov.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საქმეთა სამინისტრო - სსიპ მასწავლებლის პროფესიულ განვითარების ეროვნული ცენტრი
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA - National Center For Teacher Professional Development

MES 4 13 00613506

24/12/2013

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის
კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას

როგორც მოგეხსენებათ, 2013 წლის 20 დეკემბრის №MES 4 13 00609925 წერილით ვითხოვეთ თანხმობა ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის – სამოქალაქო განათლების სწავლებისას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (EDC/HRe) – ფარგლებში 669,60 ლარის საწვავის (360 ლიტრი ბენზინი პრემიუმი) არასაბარათე სისტემის მეშვეობით – ტალონებით შეძენის თაობაზე, რაზედაც კომისიამ გვაცნობა შემდეგი პოზიცია: „ცენტრის ავტომობილებზე იარსებებს პლასტიკური ბარათები, რომლებზეც შეიძლება საწვავის გადანაწილება გამოყენების საჭიროებისამებრ".

აქვე აღვნიშნავთ, რომ არასაბარათე სისტემის მეშვეობით – ტალონებით საწვავი უნდა შეძენილიყო კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიისგან, რომელთანაც ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად საანაგრიშო თვეში მიწოდებული საწვავის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტი სრულდება მიმდინარე წელს, იანვარში ობიექტურად ვერ შევძლებთ მოხმარებული საწვავის ანგარიშსწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, როგორც გამონაკლისი, დაგვრთოთ ნება 669,60 ლარის საწვავი (360 ლიტრი ბენზინი პრემიუმი) შევიძინოთ არასაბარათე სისტემის მეშვეობით – ტალონებით კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიისგან.

პატივისცემით,

გია მამულაშვილი

დირექტორი

საქართველო, 0167 თბილისი, გლდანი, გმირ კურსანტია ქ. № 1
E-mail: tpdc@tpdc.ge
1, Gmir Kursantta str., Gldani, 0167 Tbilisi, Georgia
www.tpdc.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA - National Center For Teacher Professional Development

MES 4 13 00609925

20/12/2013

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის
კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას

მოგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის – სამოქალაქო განათლების სწავლებისას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (EDC/HRe) – ფარგლებში გათვალისწინებულია სატრანსპორტო მომსახურებები. ამ მიზნით სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს სურვილი აქვს შეიძინოს საწვავი (ბენზინი პრემიუმი) და ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებით განახორციელოთ სატრანსპორტო მომსახურება.

იმის გათვალისწინებით, რომ სატრანსპორტო მომსახურების დროს შესაძლოა გამოყენებული იქნეს ცენტრის სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება, გთხოვთ დაგვრთოთ ნება, 669,60 ლარის საწვავი (360 ლიტრი ბენზინი პრემიუმი) შევიძინოთ არასაბარათე სისტემის მეშვეობით – ტალონებით კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიისგან.

პატივისცემით,

გია მამულაშვილი

დირექტორი

საქართველო, 0167 თბილისი, გლდანი, გმირ კურსანტია ქ. № 1
E-mail: tpdc@tpdc.ge
1, Gmir Kursantta str., Gldani, 0167 Tbilisi, Georgia
www.tpdc.ge